# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 199

„ 27 “ ივნისი 2017  წ

ქ. თბილისი

### სსიპ ქალაქ თბილისის №150 საჯარო სკოლისთვის ალექსანდრე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №150 საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს ალექსანდრე ცინცაძის სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის თბილისის №150 საჯარო სკოლა“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისის დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი